საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# გუმისთა



ხიდი მდინარე გუმისთაზე

გუმისთა, მდინარე დასავლეთ საქართველოში, სოხუმის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 12 კმ, აუზის ფართ. 576 $კმ^2$. წარმოიქმნება მდინარეების – აღმოსავლეთის გუმისთისა და დასავლეთის გუმისთის შეერთებით. ერთვის შავ ზღვას ქ. სოხუმის დასავლეთით. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 30 $მ^3$/წმ. მდინარის წყალს იყენებენ სოხუმის წყალმომარაგებისათვის.

***ი. აფხაზავა***